# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

21 ივნისი, ხუთშაბათი, 1990 წ.
№ 115 (10 284) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


სამართალმა პური ჭამა

## ნინო გურიელი დაუშვეს

როგორც ჭადრაკის საკავშირო ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ალექსანდრე ბახმა მოსკოვიდან ტელეფონით გვაცნობა, დიდოსტატი ნინო გურიელი დაუშვეს ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის საზონათშორისო ტურნირში (შეჯიბრება გაიმართება მალაიზიაში).

27 ივნისს ნონა გაფრინდაშვილი, ნანა იოსელიანი და ნინო გურიელი საასპარეზოდ გაემგზავრებიან.

**რედაქციისაგან:** ცენტრმა ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც საქართველოს სპორტსახკომის თავმჯდომარემ ნ. ენდელაძემ და ჭადრაკის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარემ პ. ჩხეიძემ საპროტესტო წერილი გაუგზავნეს საკავშირო სპორტსახკომს, საჭადრაკო ფედერაციას, ქვეყნის ოლიმპიურ კომიტეტს და გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ რედაქციას. საპროტესტო წერილი „ლელოს“ 23 მაისის ნომერში გამოქვეყნდა.

## ფინიშამდე გრძელი გზაა

საზონათშორისო ტურნირი

**აზოვი.** აქ გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატის საზონათშორისო ტურნირი ქალთა შორის. გუშინწინ ქეთევან არახამიამ გადადებული პარტია მოუგო უნგრელ ილდიკო მადლს და ათიდან — 5,5 ქულა დააგროვა. ქეთინო კახიანს 10 შეხვედრის შემდეგ 6 ქულა აქვს.

ტურნირს 7,5-7,5 ქულით ლიდერობენ ჩეხოსლოვაკიელი ელიშკა კლიმოვა და ჩინელი ლინ პენგი (10-10 შესაძლებლიდან). შეჯიბრების დამთავრებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, მთელი შვიდი ტური, ასე რომ, საქართველოს მოჭადრაკეებს მდგომარეობის გამოსწორება შეუძლიათ.

მწვანე შუქი აინთო!

## 2200 დოლარი ჭაბუკ ფალავნებს

ეს სასიხარულო ცნობა გუშინ მოგვაწოდეს

**„წითელ შუქთან“,** გახსოვთ ალბათ, „ლელომ“ ამ სათაურით აუწყა მკითხველებს იმ პრობლემის შესახებ, რომელიც ჩვენი ექსი ჭაბუკის თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობასთან დაკავშირებით წამოიჭრა. ცენტრმა უარი თქვა ნაკრების ვალუტით დაფინანსებაზე და ამ საკითხის მოგვარება იმ რესპუბლიკებს მიანდეს, ვისი წევრებიც ნაკრებში მოხვდნენ. „ლელომ“ მიმართა ყველას დახმარებოდნენ ჭაბუკ სპორტსმენებს.

და აი პირველი ცნობაც: საქართველო-იაპონია მეგობრობის ასოციაციის სახელით, ჩვენმა ლეგენდარულმა ფალავანმა ლევან თედიაშვილმა, გუშინ საქართველოს სპორტსახკომის ჭიდაობის რესპუბლიკურ გაერთიანებას 2200 დოლარი გადასცა.

მაშ ასე, მწვანე შუქი აინთო!

## ლეილა მესხი მესამე წრეში ითამაშებს

**ისტბორნი.** ჩოგბურთელთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში, რომელიც, ფაქტიურად, ბოლო რეპეტიციაა უიმბლდონის წინ, თბილისელმა ლეილა მესხმა მეორე გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად მან ფრანგი კატრინ კონტრე დაამარცხა — 6:2 2:6, 7:5. სხვა შეხვედრებიდან შეიძლება გამოვყოთ ნატალია ზვერევას გამარჯვება იაპონელ ნაოკო სავამაცუსთან (6:4, 6:1) და ნატალია მედვედევასი — ემი ფრეზიერთან (აშშ) — 7:5, 7:6.

როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, ბრწყინვალე ფორმაშია მსოფლიოს მეორე ჩოგანი, 33 წლის ამერიკელი მარტინა ნავრატილოვა, რომელიც სპეციალურად ემზადებოდა აქ უიმბლდონის ტურნირისთვის და ამის გამო საფრანგეთის ღია ჩემპიონატიც კი გამოტოვა. ნავრატილოვამაც ორი შეხვედრა მოიგო, ერთი — თანამემამულე კამილა ბენჯამინთან (6:2, 6:1), მეორე კი ავსტრალიელ ენ მინტერთან (6:2, 6:3).

# მსოფლიოს XIV ჩემპიონატი ფეხბურთში

ITALIA'90

„ა“ ჯგუფი: იტალია — ჩეხოსლოვაკია 2:0 (1:0), ავსტრია — აშშ 2:1 (0:0)
„დ“ ჯგუფი: გფრ — კოლუმბია 1:1 (0:0), იუგოსლავია — არ. გს 4:1 (2:1)

## დარჩა ბოლო ტური

**მსოფლიოს** XIV საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი ეტაპის შეხვედრები დასასრულს მიუახლოვდა. დღეს, 21 ივნისს, V და VI ჯგუფებში გაიმართება ბოლო ტურის მატჩები, დღესვე გამოვლინდებიან წინასწარ ჯგუფებში მესამე ადგილებზე გასული გუნდები, რომლებმაც პირველ-მეორე ადგილებზე მყოფ ნაკრებებთან ერთად უნდა შეადგინონ მერვედფინალური ეტაპი. მერვედფინალის მატჩები გაიმართება 23, 24, 25, 26 ივნისს ნეაპოლის, ბარის, ტურინის, მილანის, გენუის, რომის, ვერონისა და ბოლონიის სტადიონებზე. პირველი ეტაპისგან განსხვავებით შეჯიბრებები აქ ჩატარდება გამოთიშვითი წესით, წაგებული დატოვებს იტალიას. ე. ი. მსოფლიო ჩემპიონატის უმთავრესი მოვლენები ჯერ კიდევ წინაა.

პირველი ეტაპის შეხვედრები ტელევიზიით ყველამ ნახა, ყველას აქვს თავისი მოსაზრება და წარმოდგენა დღევანდელ საერთაშორისო ფეხბურთზე, ერთი რამ კი ცხადია, რომ თანამედროვე ფეხბურთში ძალთა თანაფარდობის ტენდენცია კვლავ შენარჩუნებულია. მართალია, პირველი ეტაპის მატჩებში იყო რამდენიმე დიდი ანგარიში (5:1, 4:0, 4:1), მაგრამ თამაშების მეტი წილი დაძაბული ბრძოლით აღინიშნა, თვით წინასწარ განსაზღვრული ძლიერი და სუსტი გუნდების შეხვედრებშიც უმეტეს შემთხვევაში ანგარიშებია 1:1, 1:0, 2:1, 2:0. თავი რომ დავანებოთ კამერუნელთა სენსაციურ წარმატებას „ბ“ ჯგუფში განვლილ ეტაპზე სხვა მოულოდნელი შედეგიც მრავლად იყო. თვით კამერუნელთა ეს წარმატებაც — მაინცდამაინც დიდად გასაკვირი არ უნდა გვეჩვენოს, ვინაიდან ამ ქვეყნის ნაკრების 12 ფეხბურთელი ნიადაგ გამოდის საფრანგეთის, პორტუგალიისა და ლუქსემბურგის პროფესიულ კლუბებში და, ამდენად, მათი სათამაშო პრაქტიკა შორს სცილდება მხოლოდ აფრიკის კონტინენტის მასშტაბებს. ამავე დროს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ფეხბურთელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს თვით მასპინძლებს — იტალიელებს, კოსტა-რიკის გუნდმა მხოლოდ მინიმალური ანგარიშით წააგო ბრაზილიასთან, ეგვიპტელებმა ფრედ ითამაშეს ევროპის ჩემპიონებთან ჰოლანდიელებთან და ა. შ.

განვლილ შეხვედრებში, ჩვენი აზრით, ყურადღება მიიპყრო იმ ამბავმა, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე ჯერჯერობით არ ჩანან ისეთი გამოჩენილი ვირტუოზები და ვარსკვლავები, რომელთა შესახებ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ რომელიმე მათგანი 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის უძლიერესის ტიტულს მოიპოვებს. იტალიის სტადიონებზე მეტწილად „ვარსკვლავი-გუნდები“ არიან, ხოლო „ვარსკვლავი-ფეხბურთელე-

„ა“ ჯგუფი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| იტალია | ⚽ | 1:0 | 1:0 | 2:0 |
| ავსტრია | 0:1 | ⚽ | 2:1 | 0:1 |
| აშშ | 0:1 | 1:2 | ⚽ | 1:5 |
| ჩეხოსლოვაკია | 0:2 | 1:0 | 5:1 | ⚽ |

„დ“ ჯგუფი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გფრ | ⚽ | 4:1 | 5:1 | 1:1 |
| იუგოსლავია | 1:4 | ⚽ | 4:1 | 1:0 |
| არ. გს | 1:5 | 1:4 | ⚽ | 0:2 |
| კოლუმბია | 1:1 | 0:1 | 2:0 | ⚽ |



ძალზე საინტერესოდ წარიმართა შეხვედრა მილანში გფრ-სა და კოლუმბიის ნაკრებ გუნდებს შორის. მატჩი დამთავრდა ფრედ 1:1 და მეტოქეებმა შემდგომ ეტაპზე გასვლის უფლება მოიპოვეს. სურათზე: გვიდო ბუხვალდი (მარცხნივ) და კარლოს ესტრადა.

საქდეს-საქინფორმის ტელეფოტო

იხ. მე-3 გვ.

## არის თუ არა საჭირო ჩათვლები ფიზიკურ მომზადებაში?

**რა** თქმა უნდა, საჭიროც არის და გარდაუვალიც! ვინც მოზარდის ჯანმრთელობაზე ზრუნავს, ის არასოდეს აღუდგება წინ ამ კეთილშობილურ საქმეს. ზოგიერთი მიიჩნევს, თითქოს ფიზკულტურაში ჩათვლამ ხელი შეუწყო პროტექციონიზმს, ეს არ არის მართალი. მათ შევახსენებთ, რომ ფიზკულტურის გარდა, სხვა დისციპლინებშიც არანაკლებად მძვინვარებს პროტექციონიზმი, ხოლო ის ფაქტი, რომ ინსტიტუტში ახალგაზრდა ფიზიკურად სუსტად მომზადებული შედის, არ მიმაჩნია მართებულად.

პროტექციონიზმს, ცხადია, უნდა ვებრძოლოთ. შარშან, ერთ-ერთი მოსწავლის მშობელმა მთხოვა, მისი გოგოსათვის „ხუთიანი“ დამეწერა. იგი არ იმსახურებდა მაღალ ნიშანს და, ბუნებრივია, ვერც მიიღო ის. ცოტახნის შემდეგ იგივე მშობელი მოვიდა ჩემთან და გამაოგნებელი ტონით მითხრა: „თქვენ რომ „ხუთიანს“ არ უწერდით ჩემს გოგონას, აი, საგამოცდო ფურცელში სულ „ხუთები“ ჩავაწერინე ისე, რომ არ გამიყვანია გამოცდაზე!“

რას მივაწეროთ ეს?! ცხადია, მშობლისა და მიმღები კომისიის მხრიდან საქმისადმი ასეთი მიდგომა უდიდესი ბოროტებაა! ახალგაზრდას ვაჩვევთ სიყალბეს, უსაქმურობას, ვითომ გვებრალება, სინამდვილეში კი დათვურ სამსახურს ვუწევთ. აი, სადამდე მივედით!

ზოგიერთი რომ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს აბიტურიენტთათვის ჩათვლის საჭიროებას ფიზიკურ აღზრდაში, დანაშაულია. მოზარდი თაობის უმოძრაობას, სიტლანქეს, ფიზიკურ სისუსტეს არც ერთი ერისათვის, არც ერთი საზოგადოებისათვის ჯერ სიკეთე არ მოუტანია.

**ეთერ ხახუბია,**
**თბილისის 150-ე სკოლის მასწავლებელი, სახალხო განათლების წარჩინებული, სპორტის ოსტატი.**

„ლელოს“ შეკითხვა დასვა — „ლელოს“ უპასუხებენ

## ჩვენი იმედი ყველას ჰქონდეს

1. დიდი მტკიცება არ სჭირდება იმის ახსნას, რომ ადამიანის ჯანმრთელობის პროფილაქტიკისათვის გაწეული მუშაობა ბევრად ნაკლებ ფიზიკურ, მორალურ, და თუ გნებავთ, მატერიალურ ძალისხმევას მოითხოვს, ვიდრე უკვე დაავადებული ადამიანის გამოჯანმრთელებაზე ზრუნვა. ამ თვალსაზრისით, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თანამედროვე მეცნიერება მხოლოდ ორ მიმართულებაზეა შეჩერებული, რომელთაგან ერთი, ასე ვთქვათ, „ხელოვნურია“, მეორე კი — ბუნებრივი. მედიკამენტური პროფილაქტიკის საწინააღმდეგო აბა ვის რა უნდა ჰქონდეს, მაგრამ ხომ ჭეშმარიტებაა ისიც, რომ „მედიკამენტების“ უარყოფა შეიძლება სწორედ ფიზიკური კულტურის მეშვეობით. საქმე ისე არ გახლავთ, თითქოს ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა უნდა განვიხილოთ მხოლოდ ეკონომიკური უკუგების თვალსაზრისით.

უპირველესად ეროვნულ (და შემდეგ კი ეკონომიკურ) კატეგორიად მესახება პროფკავშირულ მოღვაწეობაში ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა. და ეს სწორედ ადამიანების ფიზიკური კულტურის დონის ამაღლებაში უნდა გამოვლინდეს უწინარესად. ჩვენი იდეალური მიზანი თითოეული ადამიანის ფიზიკური კულტურის რომელიმე სახეობაში ჩაბმა უნდა იყოს. ე. ი. პირველ რიგში ადამიანის ჯანმრთელობა თავისთავად, და შემდეგ ადამიანის — მშრომელის ჯანმრთელობა ეკონომიკური უკუგების თვალსაზრისით, რაც, რა თქმა უნდა, ძალზე მნიშვნელოვანია დღეს, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა, უკვე ოცნება აღარ არის.

2. დავიწყებ იქიდან, რომ თვით საქართველოს პროფესიულ კავშირებში რადიკალური ცვლილებები მოხდა და ეს პროცესი დღესაც მიმდინარეობს. ერთი ასეთი ცვლილება სწორედ პროფკავშირების სტრუქტურული დანაყოფების სრული დამოუკიდებლობა გახლავთ. რა თქმა უნდა, ასეთი ცვლილებები საჭიროა პროფკავშირულ სპორტშიც. დღეს თვითეული პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია დამოუკიდებლად განაგებს საკუთარ სამსახურებს, დამოუკიდებლად განსაზღვრავს საკუთარ პოზიციებს რესპუბლიკურ ორგანოებთან მიმართებაში. ამავე დროს იგი უშუალო პასუხისმგებელია თავისი წევრების ჯანმრთელობაზე. ახლა ამოცანა ის არის, რომ თითოეულმა მშრომელმა, პროფკავშირის წევრმა პასუხი მოსთხოვოს პროფკავშირულ რგოლს ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობისათვის, ჩაიბაროს ანგარიში გაწეული მუშაობის შედეგებ-

იხ. მე-2 გვ.

# ჩვენი იმედი ყველას ჰქონდეს

(დასასრული)

ზე. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს თვითდინებაზე საქმის მიშვებას. საჭიროა სრული თვითმმართველობის მიცემა ძირეული რგოლებისათვის. რაც შეეხება თვით პროფკავშირების ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების სტრუქტურულ ქვედანაყოფებს, მორიდებით (რადგანაც არ მიმაჩნია თავი „მთლად" კომპეტენტურად) აღვნიშნავ იმას, რაც ჩემთვის ცნობილია. მე, მაგალითად, ვიცი, რომ „შევარდენი" თავის ყრილობაზე აპირებს კონკრეტულად განსაზღვროს მუშაობის ის მიმართულებები, რომლებიც ძირფესვიანად შეცვლიან მშრომელთა შორის მასობრივ სპორტულ და ფიზკულტურულ საქმიანობას. ალბათ იგულისხმება ღონისძიებათა მთელი კომპლექსი და, რა თქმა უნდა, შეეხება საზოგადოების ყველა დონის სტრუქტურული ქვედანაყოფების ურთიერთდამოკიდებულებას, რათა მაქსიმალურად გამოირიცხოს „ზემოდან" დიქტატი. ჩემთვის ცნობილია ისიც, რომ თვისებრივად უნდა განახლდეს საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოსა და რესპუბლიკური ორგანოების ურთიერთკავშირები, რასაც საფუძვლად სპეციალური ხელშეკრულებები დაედება. სწორედ ამ ხელშეკრულებებში იქნება გათვალისწინებული (ამაზე უკვე გვქონდა ლაპარაკი ჩვენ და საზოგადოების ხელმძღვანელებს) თითოეული დარგის სპეციფიკურობა, თითოეული ჩასატარებელი ადგილობრივი (შრომით კოლექტივებში) და რესპუბლიკური მნიშვნელობის ღონისძიებების მეცნიერულად დასაბუთებული არგუმენტებიცა და მეთოდიკაც.

3. სხვა დარგებისა არ ვიცი, ჩვენი — რადიოელექტრონული მრეწველობის მუშაკთა დამოუკიდებელ პროფკავშირში შემავალ საწარმო-დაწესებულებათა მიხედვით კი მოგახსენებთ, რომ აქ ფიზკულტურის მეთოდისტების შტატები არ შემცირებულა. არ დავმალავ, ალბათ ეს ის ბედნიერი შემთხვევაა, როცა ყველა საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელი (ჩვენი კავშირი, სამწუხაროდ, ერთ-ერთი მცირერიცხოვანია) თანაუგრძნობს ჩვენს მოთხოვნებს ამ საკითხში, მიუხედავად იმისა, რომ შტატების შემცირების ერთმა მძლავრმა ტალღამ უკვე გადაიარა და კარზეა მომდგარი მეორე, უფრო მძლავრი ტალღა. თუ 1985 წლისათვის ჩვენს წარმოება-დაწესებულებებში 10 ფიზკულტურის მეთოდისტი მუშაობდა, დღეს ადამიანთა გაჯანსაღების საქმეს 17 ფიზკულტურის მეთოდისტი ემსახურება, აქედან, ადმინისტრაციის ხაზით 10, ხოლო პროფკავშირების ხაზით — 7.

4. მიმაჩნია, რომ ამ კუთხით, სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვპასუხობთ დღევანდელობის მოთხოვნებს. ყველა ჩატარებული ღონისძიება (ტრაფარეტული ფრაზა უნდა ვიხმარო) მხოლოდ „გარკვეული ნაბიჯების" ზღვარს ვერ გასცდა. ისე, ცნობისათვის აღვნიშნავ: თუ 1985 წლამდე დარგის წარმოება-დაწესებულებებში სულ ერთი დახურული საცურაო აუზი და ორი ფრენბურთის მოედანი იყო, დღეისათვის აშენებულია სამი კალათბურთის, ორი ფრენბურთის, ერთი ფეხბურთის მოედანი, საჭადრაკო კლუბი, საჭიდაო დარბაზი, ჩოგბურთის ორი კორტი. ერთიორად გაიზარდა ნაგებობების საბალანსო ღირებულება და გამტარუნარიანობა. ყველაფერმა ამან (სხვა ღონისძიებებთან ერთად) დარგში მტკიცედ დაამკვიდრა საავადმყოფო ფურცელზე გასულ მუშა-მოსამსახურეთა შემცირების ტენდენცია. მაგრამ ვიმეორებ, ეს სრულებითაც არ გვაკმაყოფილებს.

5. მართალი ბრძანდებით, პროფკავშირების დამოუკიდებლობის მოპოვებამ უფრო ეფექტური უნდა გახადოს პროფკავშირების, მათ შორის პროფკავშირული სპორტის შესაძლებლობები და საშუალებების გამოყენება მშრომელთა გაჯანსაღების საქმეში. ამ მიმართულებით ჩასატარებელ სამუშაოებში უმთავრესი ისევ სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბაზების ქსელის გაფართოებაა. ამის შესაძლებლობები დარგს გააჩნია. ამას გარდა, მე ვფიქრობ, შემდგომში წარმატებების საწინდარია სწორედ რესპუბლიკური პროფორგანოების, პირველადი პროფკავშირული ორგანოების ჯანსაღი დამოკიდებულება სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რესპუბლიკურ საბჭოსთან და მის სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან. ჩვენ უნდა გვჯეროდეს ერთმანეთის. სპორტულ-ფიზკულტურული მოღვაწეობა თავად მოითხოვს კომპეტენტურობას, მუშაკთა მაღალ პროფესიონალიზმს. თანაც, „დიდი სპორტისაგან" განსხვავებით, აქ მომუშავე ფიზკულტურულ მუშაკებს პროფკავშირების სპეციფიკაც უნდა ესმოდეთ (რაზეც საზოგადოდ ბევრს აქვს პრეტენზია). ვფიქრობ, „შევარდენის" ხელმძღვანელობაში სწორედ ასეთი ადამიანები მოვიდნენ. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ დღემდე ჩვენი ურთიერთობა საქმესა და პრობლემებში ერთიანი წვდომის გარდა, ჯანსაღ ზნეობრივ საყრდენზე დგას. მჯერა, ასე იქნება მომავალშიც. უბრალოდ, ჩვენ ყველამ ძალები უნდა გავაათკეცოთ (მუშაობის ხარისხი მაქვს მხედველობაში).

6. აქაც გეთანხმებით. პროფკავშირი პირველ რიგში სპორტულ-ფიზკულტურული მუშაობის მასობრიობით უნდა იყოს დაინტერესებული, შემდეგ — შედეგებით. მაგრამ არც ის არის უგულებელსაყოფი, რომ ჩვენს ერს მორალურად და ფიზიკურად არა უბრალოდ ჯანსაღი, არამედ მოქნილი, რკინისებური, ამტანი თაობა სჭირდება. ამ თვალსაზრისით კი „დიდი სპორტი" დიდ საქმეს ემსახურება. ტყუილად ხომ არ გვეამაყება, რომ პროფკავშირული სპორტის აღზრდილები არიან კობა კურტანიძე, ვლადიმერ გოგოლაძე, ლეილა მესხი, ხრისტინა ფალასანიდი, ნონა გაფრინდაშვილი, ნანა იოსელიანი და სხვ.

საქართველოს პროფკავშირების ერთსულოვანი მიზანია ქართული ეროვნული სპორტის სრული სუვერენიტეტი და ამ მიზნისათვის ბრძოლაში ჩვენი იმედი ყველას უნდა ჰქონდეს.

ი. გაბუნია,
რადიოელექტრონული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

ქართული პრესა ჩვენზე...

# სპორტი თამაშობანი და გართობანი ძველ საქართველოში

„კავკასიის ბუნება იწვევს მის მცხოვრებლებში სიმარდესა და ვაჟკაცობასა, მოჯირითე წარმომადგენელთა სიმარდესა და სიმკვირცხლესა. ამავე თვისებებზე ფუძნდება თამაშობა და ცეკვა. აიღეთ თუნდ ნებიერობითა, სიცოცხლით და სიკეკლუცით სავსე ლეკური: აქაც თამაშის დროს მოთამაშის გვერდით ასობენ ხან ბასრს ხანჯალს, ხან მტვერს აადენს ცეცხლ ტყვია დამბაჩისა!

განუწყვეტელ ომებში გაწვრთნილმა კავკასიელმა დიდი ხნით მისცა თავის თამაშობას და გართობას ხასიათი საზოგადო თავის შექცევისა, ერთმანეთთან შეცილებისა. დიდის სიყვარულით ჰმართავდა ხოლმე ხალხი ამ თამაშობათ და ეს იმ დროს შეადგენდა მისთვის ფიზიკურ სკოლას. მაგრამ უდიდეს მტარვალმა ჩვენი დროისა, — ყოვლის შთანმთქავ ცივილიზაციამ თავის შემმუსვრელი ხელი დაადვა ამ სახალხო დროს-გატარებათა და ეს თავის-შექცევანი ნეტარ-საგონებლად გაუხდია და ხდის.

მაგრამ კავკასიის ვრცელს ლიტერატურაში ჩვენ არ ვიცით ერთი წერილი, რომელიც რამეს მოგვითხრობდეს ამ საზოგადო დროს-გატარებაზედ საქართველოში. ამ მიმოხილვას აქვს მიზნად ცოტად მაინც შეავსოს ეს ნაკლულევანება.

* * *

ეხლანდელს ვერის ხიდის გაღმით, მცხეთა-ტფილისის გზა-ტკეცილის მარცხნივ, გადაშლილია მინდორი საბურთალო. ადრე აქ იმართებოდა ბურთაობა, რომელსაც ჰქონდა ხასიათი მხედრულ ვარჯიშობისა. საქართველოს მეფენიც კი იღებდნენ მონაწილეობას ამ თამაშში და გამარჯვებულს მიერთმეოდა ოქრო ვაშლი — მოოქრული მეტალის ბურთი. არ ვიცი — საბერძნეთიდამ იყო გადმოტანილი ეს თამაშობა, თუ შორე აღმოსავლეთის ქვეყნებიდამ. დაწვრილებით ცნობას ამ თამაშობისას არ მოუღწევია ჩვენამდის; უეჭველია, ის უნდა გარდავარდნილიყო ირაკლი II მეფობის უკანასკნელ წლებში. უნდა შევნიშნოთ კი, რომ ბევრ აღმოსავლეთის ხალხთა ზღაპრებში მოხსენებულია ბურთაობა — ერთის მეორესთან შებმა ოქროს ვაშლის სარგებად. ესვე თამაშობა სომხების მწერლების სიტყვით, დიდად მოსწონდათ არაბთა ხალიფებსა და მაჰმადიანთ ხონთქრებს.

აქაური ახალგაზრდა ახლაც შეექცევა ხოლმე ბურთაობას.

* * *

25 წელიწადია მას უკან, ეხლანდელს ალექსანდრეს ბაღის ქვედა ნაწილის ალაგას, — ტფილისში იყო მაედანი, რომელზედაც პლ. იოსელიანი მოგვითხრობს შემდეგს:

„ქალაქის კედლის ჩრდილოდ, მეფე იესესეს სასახლის პირ-და-პირ, იყო მაედანი ხალხის თავ-შესაქცევად და სამხედრო ვარჯიშობისათვის. ძველ დროში უწოდებდნენ ასპარეზს, შემდეგ დაარქვეს ყაბაღი, სპარსული სიტყვისაგან, რომელიც ნიშნავს ანძას, რომელზედაც იყო საჩუქარი იმისათვის, ვინც ნიშანში ამოიღებდა. ამგვარი ანძა, თასარი ორი იყო გაკეთებული ამ მაედანზე. ამ თასსებზე საუკეთესო მეისრეთათვის დასდებდნენ ხოლმე სამიზნებლად ოქროს თასებს. ამ მაედნებზედვე იმართებოდა ბურთაობა, მარულა, სამხედრო ვარჯიშობანი, მაედნის სიგრძე იყო 250 საჟენი და სიფართე 120".

მოხსენებული შვილდ-ისრობა ალბად დიდი ხანია უნდა გაუქმებულიყო, რადგანაც ჩვენის დროის მოხუცთ არ ახსოვთ ეს თავის შექცევა, მაგრამ ერთი იმ თასართაგანის კვალი კიდევ სჩანდა ამ საუკუნის დასაწყისში.

* * *

ერთ უსაყვარლეს თამაშთაგანს ქართველ-ახალ-გაზრდობისათვის განსაკუთრებით თავად-აზნაურობისათვის, შეადგენდა ჩვენ დრომდის დარჩენილი ცხენოსნობა — ანუ ჯირითობა, ტფილისში 15 და 20 წელიწადია, რაც ეს თამაში გადავარდა, მაგრამ საქართველოს სოფლებში დღესაც შეხვდებით კარგ მოჯირითეს.

ეს თამაშობა უფრო სოფლის დღეობაში, ხატობაში და ქორწილებში იმართება ხოლმე.

კავკასიის ჯირითობას იმდენად იცნობს ყველა, რომ დაწვრილებით იმის აღწერა საჭირო არ არის. ვიტყვით მხოლოდ, რომ ის თხოულობს ცოდნას ცხენოსნობისას, სიმარდეს, მოხერხებას, ღონეს და სიმამაცეს. ჯირითის სროლა, ჰაერში იმის დაჭერა, როგორ უნდა მიუბრუნო ჯირითი მოპირ-და-პირეს, როგორ უნდა გაექანო მისკენ არწივისებრ, — ყველა ეს თხოულობდა დიდს გამოცდილებას, რომ სხვა თვისებებზედ არა ვთქვათ.

ტფილისში ჯირითი იმართებოდა ხოლმე: თელეთობას, სამხრეთ ქალაქის კარების გარედ ორთაჭალისაკენ და მთაწმინდობას ეხლანდელს გალავნის პროსპექტზე. სპეციალურ ალაგად კი ყველა ამ დროს გატარებათათვის ყაბაღი იყო დანიშნული.

ამ დღესასწაულებზედ იკრიბებოდნენ თავად-აზნაურთ ახალ-გაზრდები ქართლისა და კახეთისა ხავერდის ქულაჯებით და მდიდრულად გაწყობილის ცხენის იარაღებით. ამ დროს გატარებაში ტფილისში მაჰმადიანების ბეგებიც და აღალარებიც იღებდნენ მონაწილეობას.

ტაძრის დღესასწაულებზე, ეკლესიებზედ და მონასტრებზედ, მუდამ აუარებელი ხალხი ესწრებოდა. ამავე დღესასწაულებზედ იკრიბებოდნენ განთქმული მოჭიდავენი. მაგრამ ჭიდაობა ერთობ ძველი ვარჯიშობაა. ჩვენს ზღაპრებში ნათქვამია, რომ კაცები დევებთან ჭიდაობდნენო. მებრძოლნი მეფენი, წინამძღოლნი ჯარისა, გამოიწვევდნენ ერთმანეთს, დადგებოდნენ ერთმანეთის პირის-პირ და იბრძოდნენ, რომ ამგვარად დაეცვათ ჯარის სიცოცხლე. მაგრამ აქ ხშირადო, როგორც ამბობენ ზღაპრები, სიყალბეც ხდებოდაო: ხშირად მეფის სამოსელით გამოდიოდა რომელიმე ქვეშევრდომი მეფისა, კარგი მოჭიდავე და ეს სწყვეტდა სამეფოს ბედ-იღბალს. საზოგადოდ ამ ბრძოლას, ჭიდაობას აქვს მთელი წესდება, თავისი კანონები, რომელიც წმინდად და ბეჯითად უნდა ასრულდეს ფალავანთაგან.

ხალხს უყვარს ძალითა და სიმართლით განთქმული ფალავანი. დღმიდამ-დღმაზედ გადადის ჩვენში სახელი განთქმულის ქართულ-მოჭიდავისა ჩიტოსი, რომელიც ჩვენ პაპების დროს ჭიდაობდა.

* * *

ტფილისის მცხოვრებთათვის საყვარელ თავ-შესაქცევს შეადგენდა მუშტის-კრივი, რომელშიაც მონაწილეობას ღებდნენ ჩვენი მშვიდობიანი მოქალაქენიც, აზნაურებიც და ხელოსანი ხალხიც. ამას გარდა, კრივში ხშირად ისეთი პირნიც ერეოდნენ, რომელთაც შემდეგში ომების დროს დიდი გმირების სახელი დაიმსახურეს. როდესაც ომიდამ ბრუნდებოდნენ თავის სამშობლო ტფილისში ჩინებითა და ორდენებით, არ გაუშვებდნენ შემთხვევას დასწრებოდნენ მუშტის-კრივზე, კანკალი აიტანდა ხოლმე მათ, როდესაც კრივი გაცხარდებოდა და ერთი ხროვა მოწინააღმდეგეთა მუშტის წინააღმდეგ გამოვიდოდა ყოჩაღი მოკრივე, რომელიც ყოველს დარტყმაზედ აწვენდა მოწინააღმდეგეს და მარდად იკაფავდა გზას.

სიონის სობორო ჰყოფდა ქალაქს ორ დიდ უბნად: ჩრდილოეთის და სამხრეთისა. ჩრდილოეთ, მხარე ავლაბრისა, ჩუღურეთი, კუკია, გარეთუბანი, მთაწმინდა და თვით ქალაქში სიონიდამ მოყოლილი ფეთხაინამდის, — მთელი ეს უბანი იწოდებოდა ზემო-უბნად, რომლის მცხოვრებნი შეადგენდნენ მუშტის-კრივში ერთს დასს. სამხრეთით კი სიონისა და ფეთხაინის შუა ხაზისა: მაიდანი, სეიდაბათი, ხარფუხი, შავ-სოფელი და ავლაბრის ნაწილი შეადგენდნენ ქვემო-უბანს. ამბობენ, უწინდელ დროში ეს ორი მხარე თანასწორი იყოო, ძალა ორთავე უბანში თანასწორი იყოო, მაგრამ ჩვენს საუკუნეში, როდესაც ჩრდილოეთ მხარეს გაიზარდა ქალაქი, ზემოდ-უბანი მუდამ იმარჯვებდა.

განსაკუთრებით განთქმულნი იყვნენ მუშტის-კრივში კუკიელები და მთაწმინდელები. ქვემოდ-უბანში განთქმული იყვნენ ავლაბრელები და სეიდაბათელები. ამ უკანასკნელთ რიცხვში ირიცხებოდნენ ტფილისის მკვიდრი მცხოვრებნი მაჰმადიანებიც, რომელნიც გაჭირვებაში ხანჯალსაც ხმარობდნენ ხოლმე.

პატარა მუშტის-კრივი თითქმის ყოველ დღე სადამოობით იმართებოდა, განსაკუთრებით კი კვირაობით და უქმ-დღეობით... დიდი კრივის ალაგი კი მუდამ ქალაქს გარედ იყო და დანიშნულ დროს.

კრივი გაიმართებოდა ჯერ პატარებში და თან-და-თან დიდებზედ გადადიოდა. ყოფილა შემთხვევა, როდესაც, რომ დაეცვათ სახელი თავიანთის უბნისა კრივში ჩასულან საპატიო პირნი და მოხუცნიც 60-63 წლისა.

საზღვარი არ ჰქონდა მაყურებელთა აღტაცებას, და რომ გამარჯვება დარჩენოდათ, ხშირად სწირავდნენ არა თუ მარტო ფულსა და შეძლებას, თავიანთ გვერდებსაც. მოხდებოდა, რომ ბრძოლა გათავდებოდა და გამარჯვება კი არსაით არ რჩებოდა, მაშინ კი ხელ-მეორედ დანიშნავდნენ დროს, შეიქმნებოდა ახალი მზადება და ახალი გაწერ-გამოწერა და მოსყიდვა გამოჩენილ მოკრივეებისა...

უანგარიშო ხალხი ესწრებოდა თურმე მუდამ კრივზე....

გავლილ მე-60-წლების დასაწყისში მუშტის-კრივი ტფილისში სრულებით აღკრძალული იქნა..."

„დროება", 1882 წ. 11 ივლისი (№ 143)

(სტატია გადმოღებულია გაზეთ „კავკაზიდან". 19882 წ. № 178).

სულიკო ნუცუბიძე.

# მომავალს — მტკიცე საფუძველი!

ჩვეულებრივი შეჯიბრებები იყო, ერთი გამონაკლისი რომ არა: ბავშვთა საკავშირო სპორტული თამაშების „იმედის სტარტების" მეთხუთმეტე რესპუბლიკური ფინალური შეჯიბრების მონაწილეებს და ორგანიზატორებს — სახალხო განათლების სამინისტროს, საქართველოს სპორტსაზკომისა და რესპუბლიკური პროფკავშირების წარმომადგენლებს კარგად ესმოდათ, რომ ქართული ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობა ახალი მიჯნის მისადგომებთან იმყოფება და ახლა, უპირველეს ყოვლისა, ბავშვთა სპორტს სჭირდება განსაკუთრებული ყურადღება, რათა მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ ქართული სპორტის მომავალს.

„იმედის სტარტების" ფინალურ ეტაპზე, რომელიც რესპუბლიკის ქალაქების საშუალო სკოლების გუნდებს შორის ჩატარდა, მრავალმა მონაწილემ მოიყარა თავი. მაყურებლებმა და გულშემატკივრებმა ბევრი საინტერესო ორთაბრძოლა იხილეს. მონაწილენი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მძლეოსნობასა, ცურვასა და ტანვარჯიშში.

მრავალდღიანი საინტერესო ასპარეზობის შემდეგ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

IV კლასი. I — ბორჯომის მე-3 სკოლა, II — ზესტაფონის მე-3 სკოლა, III — თბილისის 121-ე სკოლა;

V კლასი. I — თბილისის 192-ე სკოლა, II— წყალტუბოს მე-2 სკოლა, III — ფოთის მე-5 სკოლა;

VI კლასი. I— თბილისის 121-ე სკოლა, II — ზესტაფონის მე-3 სკოლა, III — გარდაბნის მე-5 სკოლა;

VII კლასი. I — ქუთაისის 23-ე სკოლა, II — თბილისის 121-ე სკოლა, III — საგარეჯოს პირველი სკოლა.

ქუთაისსა და წყალტუბოში პარალელურად მიმდინარეობდა „იმედის სტარტების" პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები სოფლის სკოლებს შორის. როგორც შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა გიორგი გაბიტაშვილმა გვითხრა, სოფლის ნორჩი სპორტსმენები საერთოფიზიკური მომზადებით დიდად არ ჩამორჩებოდნენ „იმედის სტარტებში" მონაწილე ქალაქელ თანატოლებს.

სოფლის სკოლებს შორის საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: **IV კლასი** — 1. ყვიბისის სკოლა (ბორჯომის რ-ნი), 2. ბაკურციხის სკოლა (გურჯაანის რ-ნი), 3. ბროწეულას სკოლა-ინტერნატი (წყალტუბოს ზონა); **V კლასი** — 1. ახმეტის სკოლა-ინტერნატი, 2. ჩიბათის სკოლა (ლანჩხუთის რ-ნი), 3. თერჯოლის №2 სკოლა; **VI კლასი.** 1. ონის №2 სკოლა, 2. თეკლათის სკოლა (სენაკის რ-ნი), 3. ამბროლაურის №3 სკოლა; **VII კლასი** — 1. ხელთუბნის სკოლა (გორის რ-ნი), 2. აგარის სკოლა (ქარელის რ-ნი), 3. არ გათამაშებულა.

ლევან ჯავახიშვილი.

# მხოლოდ ჩემპიონები...

**გაგაცნობთ მოსწავლე ძიუდოისტთა რესპუბლიკური პირველობის გამარჯვებულებს (შეჯიბრება ორიოდე დღის წინ დამთავრდა საგარეჯოში).**

**49 კგ.** გ. მამისაშვილი (საგარეჯო, „მართვე"). **58 კგ.** ა. წიქორიძე (ქუთაისი, „შევარდენი). **57 კგ.** ა. აბრამიშვილი (ახმეტა, „მართვე"). **62 კგ.** ვ. ჯაბიშვილი (ახმეტა, „დინამო"). **68 კგ.** გ. ლუზარაული (ახმეტა, „მართვე"), **75 კგ.** რ. ჩოჩიშვილი (გორი, „შევარდენი"). **83 კგ.** მ. ბოტკოველი (თელავი, „მართვე"). **90 კგ.** ა. ქოჩიაშვილი (ქუთაისი „შევარდენი"). **+90 კგ.** ლ. ჯაფარიძე (თელავი, „მართვე").

გუნდური. 1. „შევარდენი" — 48 ქულა; 2. „მართვე" — 41,5; 3. „დინამო" — 22.

ამ შეჯიბრების მონაწილე ძიუდოისტებიდან (1974-1976 წ.წ. დაბ.) საუკეთესოები მონაწილეობას მიიღებენ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში. სხვათა შორის, საგარეჯოში ასპარეზობდა ოლიმპიური ჩემპიონის შოთა ჩოჩიშვილის ორი ვაჟიშვილი — რამაზი და რეზო. რეზომ, როგორც ხედავთ, გაიმარჯვა კიდეც, ხოლო რამაზი მეორე ადგილზე გავიდა 83 კგ წონით კატეგორიაში.

# მოკლედ

სენაკელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შესანიშნავად უმასპინძლეს საქართველოს X სპარტაკიადის ერთ-ერთ სახეობას — ძალოსანთა ტურნირს. თავიდანვე დაწინაურდნენ და საბოლოო გამარჯვებაც მოიპოვეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის წარმომადგენლებმა. მეორე ადგილზე გავიდნენ თბილისელი სპორტსმენები, მესამეზე — ზუგდიდელები.

ნუგზარ ძაანია,
„ლელოს" საკ. კორ.

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

**„გორდა“ (რუსთავი) — „ცხუმი“ (სოხუმი) 3:0 (0:0)**

რუსთავი. „ფოლადის“ სტადიონი. 19 ივნისი.

„გორდა“: მეშკოვი, ფირცხალავა (ავაქიანი), კილასონია, კუდინოვი, ქასრაშვილი, აფციაური, ტ. კაპანაძე (დიმიტრიშვილი), მეტრეველი, ა. კაპანაძე, ფანცულაია, მიქაშავიძე (წიკლაური).

„ცხუმი“: ყორყოლიანი, ჩიხრაძე, ფარულავა, ხიჯინავა, მალანია, ინალიშვილი, ჯიშკარიანი, პაპავა, გოგრიჭიანი, გაბისკირია, კურგენიანი.

მსაჯები: რ. ტალიაშვილი, ნ. კილაძე, გ. ხეჩუაშვილი (სამივე — თბილისი).

**შეხვედრა** ორმხრივი იერიშებით დაიწყო, გუნდები გაბედულ შეტევებს ახორციელებდნენ. სტუმრები პირველ ტაიმში არაერთხელ შეეცადნენ რუსთაველთა კარის აღებას, მაგრამ უშედეგოდ, პირველ ნახევარში ანგარიში არ გახსნილა — 0:0.

შესვენების შემდეგ მასპინძელთა შორის განსაკუთრებით აქტიურობდა მინდორზე ახლად შემოსული წიკლაური. ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა ჰქონდათ კილასონიას, ფანცულაიას, აფციაურს, მაგრამ კარგად ითამაშა მეკარე ყორყოლიანმა, თუმცა, „გორდას“ მონდომებამ მალე შედეგი გამოიღო და 73-ე წუთზე ა. კაპანაძემ გახსნა ანგარიში — 1:0.

გაშვებული გოლის შემდეგ სოხუმელი თავდამსხმელები გააქტიურდნენ, მაგრამ მცველებმა ზედიზედ რამდენიმე შეცდომა დაუშვეს და მე-80 წუთზე ფანცულაიამ უნაკლოდ შეასრულა საჯარიმო დარტყმა — 2:0. მალე რუსთაველებმა ახალი კომბინაცია წამოიწყეს და 83-ე წუთზე ა. კაპანაძემ სამამდე გაზარდა ანგარიში.

**აკაკი ყანდიაშვილი,**
**„ლელოს“ კორ.**

19 ივნისს შედგა XIII ტურის გამოტოვებული შეხვედრა. ხაშურის „ივერიამ“ უმასპინძლა ოზურგეთის „მერცხალს“ და მარცხი განიცადა — 0:4.

გუშინ გაიმართა ტურის დანარჩენი შეხვედრები:

„იბერია“ (თბილისი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 1:1

„ბათუმი“ (ბათუმი) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 2:0

„კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „ქუთაისი“ (ქუთაისი) 1:0

„დილა“ (გორი) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:0

„ლიახვი“ (ცხინვალი) — „შევარდენი“ (თბილისი) 1:5

„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „ოდიში“ (ზუგდიდი) 0:1

## ვეტერანები — საფეხბურთო ფერხულში

**გასულ** კვირადღეს, დილით, თბილისის მთავარ სტადიონზე შეხვდებოდით ქართული ფეხბურთის ძველი თაობის შესანიშნავ წარმომადგენლებს, რომლებიც აქ მოვიდნენ საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის მორიგ თავყრილობაზე. მათ შორის იხილავდით გრიგოლ კაგუას, ოტია ჟორდანიას, ავთანდილ პაიჭაძეს, ვლადიმერ ელოშვილს, გივი ჩოხელს, მიხეილ მესხს, ზაურ კალოევს, მანუჩარ და გოჩა მაჩაიძეებს, გივი და ლევან ნოდიებს, ლევან ჟორდანიას, თენგიზ სულაქველიძეს, ვახტანგ ქორიძეს და მრავალ სხვას. აქვე იყო თბილისის „იბერიის“ კლუბისა და გუნდის ხელმძღვანელობაც.

საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის ხელმძღვანელმა კახი ასათიანმა შეკრებილთ გააცნო საქართველოს მინისტრთა საბჭოს მიერ რეგისტრირებული რესპუბლიკის ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის წესდება, სამუშაო გეგმა, საშტატო განრიგი.

თბილისის „იბერიის“ კოლექტივში შექმნილი რთული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციით გამოვიდნენ კლუბის პრეზიდენტი თენგიზ წეროძე, მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი.

ამ საკითხზე თავიანთი აზრი გამოთქვეს ძველმა ფეხბურთელებმა, რომელთათვისაც მუდამ ახლოა საქართველოს საუკეთესო გუნდის საჭირბოროტო საკითხები, აწმყო და მომავალი. ვეტერან ფეხბურთელებს თხოვეს ეწვიონ თბილისის „იბერიის“ კოლექტივს, ესაუბრონ ფეხბურთელებს, დახმარება აღმოუჩინონ გუნდს, რომელიც ბოლო ხანებში გარკვეულ სიძნელეებს განიცდის. გამოიყო ვეტერანთა ჯგუფი, რომელიც ამ მისიას ითავებს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მიმართეს თხოვნით, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდებისთვის დააწესოს ხელფასის მაქსიმალური და მინიმალური ზღვარი, უფრო მეტად გამოიყენოს ვეტერანი ფეხბურთელები მატჩებზე კომისრებად დანიშვნისას.

საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის პერსპექტივებს და მომავალ საქმიანობას ახლო მომავალში დაწვრილებით გავაცნობთ რესპუბლიკის ფეხბურთის მოყვარულთა ფართო საზოგადოებრიობას.

## მსოფლიოს XIV ჩემპიონატი ფეხბურთში

ITALIA'90

# დარჩა ბოლო ტური

(დასასრული)

ბი“, ფეხბურთის ინდივიდუალური პრემიერები ნაკლებად ჩანან. ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ, ვთქვათ, პაოლო მალდინი, ჯუზეპე ჯანინი, რობერტო ბაჯო, ჯანლუკა ვიალი (იტალია), გეორგ ხაჯი, გეორგ პოპესკუ, მარიუს ლეკეტუში (რუმინეთი), რიკარდო ალემაო, ანტონიო კარეკა, ლუის მიულერი (ბრაზილია), ანდრეას ბრემე, კლაუს აუგენტალერი, ლოტარ მათეუსი, იურგენ კლინსმანი (გფრ), რონალდ კუმანი, მარკო ვან ბასტენი, ფრანკ რიიკარდი, რუუდ გულიტი (ჰოლანდია) და სხვანი ექსტრა-კლასის ფეხბურთელები არ არიან, მაგრამ საგანგებოდ გამორჩეული, როგორც, მაგალითად, ბოლო წლებში არგენტინელი დიეგო მარადონა, ჯერჯერობით არ ჩანს. ან თვით მარადონამაც რა ქნას, როცა მას თავგამეტებით, დაუნდობლად ებრძვიან სრულიად არასაფეხბურთო ხერხებით. მარადონა რკინის მარწუხებშია მოქცეული, მას, უბრალოდ, თამაშის საშუალება არა აქვს და თუ რამე მოახერხა, უშუალოდ ბურთის მიღების მომენტში, თორემ, იგი ერთთავად მიწაზეა გართხმული აშკარად აგრესიულ შეტაკებათა შედეგად.

ამ უხეშობის თაობაზე ახლა ბევრი ლაპარაკია. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ საგანგებო ზომებს მიმართა, მსაჯებიც უმოწყალოდ „არიგებენ“ მარჯვნივ და მარცხნივ ყვითელ და წითელ ბარათებს, ამ მკაცრ სანქციებს სერიოზული ფინანსური ჯარიმებიც თან ახლავს, მატჩი არ გავა, მსაჯმა რომ ყვითელ ან წითელ ბარათებს არ მიმართოს, მაგრამ ჯერჯერობით ის შედეგი არ ჩანს, რომლისთვისაც გამიზნულია ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია. თამაშებზე ულმობელი „ნადირობაა“ გამართული.

არც თვით მსაჯობაა ისეთ დონეზე, რომ მსოფლიო ჩემპიონატის არბიტრაჟი სამაგალითოდ მივიჩნიოთ. არა! მსაჯებს უამრავი შეცდომა მოსდით და მთავარი მათგან ისაა, რომ ჯერ იტალიაში გამომუშავებული არაა უხეში თამაშის ფიქსირების ერთიანი კონცეფცია. არის შემთხვევები, როცა მოთამაშის რომელიმე უხეში საქციელისთვის მსაჯი ყვითელ ან ზოგჯერ წითელ ბარათსაც კი მიმართავს, სხვა შემთხვევაში კი ასეთივე საქციელისთვის ინიშნება მხოლოდ საჯარიმო დარტყმა.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ წარსულის ცნობილ იტალიელ ფეხბურთელს ჯანი რივერას, „მილანის“ განთქმულ ნახევარმცველს, რომელიც გაწბილებულია მსოფლიო ჩემპიონატის თამაშის საერთო დონით:

— ზედმეტად მკაცრმა ტაქტიკურმა სქემებმა და ჭარბმა ათლეტურმა სტილმა, რომელსაც ჩემპიონატის ყველა მონაწილე გუნდი მიმართავს, ერთიანად ჩაკლა ფანტაზია და თავისუფალი მოქმედების ინიციატივა. — მიაჩნია ჯ. რივერას, — წაგების საშიშროებამ ფეხბურთელთა შეგნებიდან ერთიანად გამოთიშა თამაშის სიხარული და მისგან მოგვრილი კმაყოფილება. აშკარად ჩანს შიშველი პროფესიონალიზმი, რომელსაც საფუძვლად არ უდევს არაფერი, ფინანსური ინტერესების გარდა. ეს მთლიანად განდევნის ფეხბურთიდან მის მთავარ არსს: ინდივიდუალურ ოსტატობას და შემოქმედებით სულისკვეთებას.

ახლა განვლილი ტურის შეხვედრათა შესახებ.

IV ჯგუფში დამთავრდა წინასწარი ტურნირი. დასავლეთგერმანელმა ფეხბურთელებმა მხოლოდ ფრეს მიაღწიეს კოლუმბიის გუნდთან შეხვედრაში — 1:1, თუმცა, ეტყობა, გამარჯვება მათთვის სავალდებულო არც იყო, მერვედფინალის საგზური მათ ისედაც გარანტირებული ჰქონდათ. ეს გოლებიც მატჩის მიწურულს გავიდა: გერმანელმა ლიტბარსკიმ 88-ე წუთზე გახსნა ანგარიში, რინკონმა კი ზედ მსაჯის საფინალო სასტვენის წინ გაათანაბრა ანგარიში. იუგოსლავიის ფეხბურთელებმა ანგარიშით 4:1 დაამარცხეს არაბეთის გაერთიანებული საემიროების გუნდი.

I ჯგუფში იტალიელებმა საკმაოდ დამაჯერებლად მოუგეს ჩეხეთ-სლოვაკიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდს — 2:0, ავსტრიისა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდების შეხვედრა დამთავრდა ავსტრიელთა გამარჯვებით — 2:1.

## წარმოგიდგენთ მონაწილეებს ● „ე“ ჯგუფი



ესპანეთი



ბელგია



ურუგვაი



სამხრეთ კორეა

## რეტრო ბრაზილიური ფეხბურთის ერა

**სისტემას,** რომელმაც თანამედროვე ფეხბურთში რევოლუციური გადატრიალება მოახდინა სტიქიურად, ჩაეყარა საფუძველი ჯერ კიდევ 1954 წელს შვეიცარიის მსოფლიო ჩემპიონატზე. ამ სისტემის ავტორები მაშინაც და მერეც ბრაზილიელები იყვნენ და ამიტომაც ფეხბურთში „პროგრესული ბრაზილიური სტილის“ სახელით დამკვიდრდა.

განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა მისი ღირსებები 1958 წელს შვეციაში. ნოვატორული ტაქტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ცენტრალური თავდამსხმელი დიდი იყო, — რომელმაც უკან დაიხია ნახევარდაცვის ზონაში და იქიდან დაიწყო შეტევების ხელმძღვანელობა, რომელშიც მეტწილად ოთხი ფორვარდი მონაწილეობდა. ამ ტაქტიკურმა მანევრმა ნებსით თუ უნებლიედ ბრაზილიური სქემის შემდგომი ევოლუცია გამოიწვია: ფორვარდებმა ნახევარმცველის ადგილი დაიკავეს, ნახევარმცველებმა კი დაცვისა. ასე დაიბადა ბრაზილიელთა პოპულარული მწვრთნელის ვინსენტე ფეოლას ყბადაღებული სისტემა 4+2+4.

სპეციალისტთა ნაწილი ბრაზილიის ფეხბურთელთა წარმატებას 1958 წლის ჩემპიონატში ახალი სისტემის მადლს მიაწერდა. თვით ფეოლას კი ხშირად უთქვამს: „არავითარი სისტემა, წინასწარმონიშნული სქემა არა გვქონია. ჩვენ უბრალოდ, იმდენი კარგი ფორვარდი გვყავდა, რომ არ იყო საჭირო შეტევაში ხუთი ფეხბურთელით თამაში. ამ საქმეს ოთხიც კარგად უძლევდა და დაცვის გაძლიერების მიზნით თითო ფეხბურთელი ყველა რგოლში უკან დავხიეთ“.

პელე, ვავა, გარინჩა და ზაგალო მართლაც წარმატებით ახერხებდნენ მეტოქის საჯარიმო მოედნის შევსებას და განუკითხავადაც ბატონობდნენ იქ. ამ ოთხეულს მეხუთე ფორვარდი აღარ სჭირდებოდა.

1958 წლის ჩემპიონატში პირველად მიიღო მონაწილეობა საბჭოთა ნაკრებმა, რომელმაც ჯგუფურ ტურნირში მეორე ადგილი დაიკავა, მეოთხედფინალში კი დამარცხდა ფინალის ერთ-ერთ მონაწილესთან — ჩემპიონატის მასპინძელთან — 0:2.

* * *



**სურათზე:** ბრაზილიის ნაკრები — მსოფლიოს 1958 წლის ჩემპიონი. დგანან (მარცხნიდან) — გუნდის მწვრთნელი ვ. ფეოლა, ჯ. სანტოსი, ზიტო, ბელინი, ნ. სანტოსი, ორლანდო და ჟილმარი. პირველ რიგში — გარინჩა, დიდი, პელე, ვავა, ზაგალო და მეორე მწვრთნელი ამარალი.

# შარშანდელ ჩემპიონატს თუ შევადარებთ

**ულან-უდე.** თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა აქ დამთავრებულ საკავშირო ჩემპიონატში ვერც ერთმა შარშანდელმა ფალავანმა არსენ ფაძაევის გარდა, ვერ შეინარჩუნა ოქროს მედალი. ეს ტურნირის მთავარ ღირსებად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა, გააჩნია ვისთვის. კრასნოიარსკელი მსოფლიო ჩემპიონი ა. ატაევი მაგალითად, (100 კგ) აშკარად უკმაყოფილო უნდა იყოს იმის გამო, რომ საპრიზო ადგილისთვის მებრძოლთა რიგებს სადღაც ტურნირის დასაწყისში გამოაკლდა. კიდევ ორმა მსოფლიო ჩემპიონმა ბ. ბუდაევმა (68 კგ) და ე. ჟაბრაილოვმა (82 კგ) წააგო ფინალური შეხვედრები. ოქროს მედლებს „ვერ მისწვდნენ“ ვერც სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი დ. გობეჯიშვილი და ამავე ოლიმპიადის პრიზიორი ლ. ხაბელოვი.

მეტსაც გეტყვით, გობეჯიშვილი ნახევარფინალში დამარცხდა ალექსანდრე მედვედის ვაჟიშვილთან, 23 წლის ალექსისთან, რომელსაც შემდეგ ფინალში ზაზა თურმანიძემ აჯობა და თავისებური რევანშიც აიღო.

შარშანდელ ჩემპიონატში (მახაჩყალა, 15-18 ივნისი) საქართველოს მოჭიდავეებმა ერთი ოქროს (შ. მაჰომედოვი 62 კგ), ორი ვერცხლისა (ა. გოგოლიშვილი, 82 კგ და დ. გობეჯიშვილი 130 კგ) და ორიც ბრინჯაოს (ლ. ხაბელოვი, 100 კგ და ზ. თურმანიძე, 130 კგ) მედალი მოიპოვეს. წელს ერთი მედალი დავკარგეთ სამაგიეროდ ორი უმაღლესი ჯილდო დავისაკუთრეთ უმთავრესად იმავე მოჭიდავეების წყალობით.

გთავაზობთ პრიზიორთა სიას და ამა თუ იმ ქალაქის წარმომადგენელთა მიერ მოპოვებულ მედლების რაოდენობას:

**48 კგ.** 1. ს. კარამჩაკოვი (კრასნოიარსკი), 2. ი. მამიშევი (აბაკანი), 3. ნ. აბდულაევი (ბაქო).

**52 კგ.** 1. ს. ზამბალოვი (ულან-უდე), 2. ა. აგაევი (ბაქო), 3. მ. კუშნირი (ლვოვი).

**57 კგ.** 1. რ. კარაევი (მახაჩყალა), 2. ს. ბაბახანიანი (ბელაია ცერკოვი), 3. ს. სმალი (გომელი).

### ტურნირის ექო



**62 კგ.** 1. გ. რაშიდოვი (მახაჩყალა), 2. გ. აზიზოვი (ვოლგოგრადი) 3. ა. ბარდახანოვი (ულან-უდე).

**68 კგ.** 1. ა. მუტალიბოვი (მახაჩყალა), 2. ბ. ბუდაევი (ულან-უდე), 3. ს. სარქისიანი (კიროვაკანი).

**74 კგ.** 1. ა. ფაძაევი (ვლადიკავკაზი), 2. ა. ვარაევი (გროზნო), 3. ნ. გაჯიხანოვი (მახაჩყალა).

**82 კგ.** 1. ა. გოგოლიშვილი (თბილისი), 2. ე. ჟაბრაილოვი (მახაჩყალა), 3. ა. სავკო (გროდნო).

**90 კგ.** 1. დ. თედეევი (მოსკოვი), 2. ა. ბისულთანოვი (გროზნო), 3. რ. არუთინიანი (მოსკოვი).

**100 კგ.** 1. ა. გოლოვკო (ჩერკესკი), 2. ლ. ხაბელოვი (თბილისი), 3. ო. ლადიკი (კიევი).

**130 კგ.** 1. ზ. თურმანიძე (თბილისი), 2. ა. მედვედი (მინსკი), 3. დ. გობეჯიშვილი (თბილისი).

ახლა იმის შესახებ თუ როგორ განაწილდა მედლები ქალაქებს შორის

| | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| მახაჩყალა | 3 | 1 | 1 |
| თბილისი | 2 | 1 | 1 |
| ულან-უდე | 1 | 1 | 1 |
| მოსკოვი | 1 | — | 1 |
| კრასნოიარსკი | 1 | — | — |
| ვლადიკავკაზი | 1 | — | — |
| ჩერკესკი | 1 | — | — |
| გროზნო | — | 2 | — |
| ბაქო | — | 1 | 1 |
| აბაკანი | — | 1 | — |
| ბელაია-ცერკოვი | — | 1 | — |
| ვოლგოგრადი | — | 1 | — |
| მინსკი | — | 1 | — |
| ლვოვი | — | — | 1 |
| გომელი | — | — | 1 |
| კიროვაკანი | — | — | 1 |
| გროდნო | — | — | 1 |
| კიევი | — | — | 1 |

## გუშინ...

ვერის ბაღის კალათბურთის სასახლეში დასრულდა რესპუბლიკური პირველობა მინი-კალათბურთში. გაიმართა მორიგი შეხვედრები: „მართვე“ — ქუთაისი 46:35; ბათუმი — სოხუმი 38:27; „დინამო“ — „ლოკომოტივი“ 40:38; რუსთავი — ბათუმი 36:30. დღეს გადამწყვეტი მატჩებია: პირველი ადგილისთვის „მართვე“ შეხვდება „დინამოს“, ხოლო მესამე ადგილისთვის იბრძოლებენ „ლოკომოტივის“ და ქუთაისის გუნდები.

## უძლიერესნი მრთ მხარეში

**უიმბლდონის** ტურნირის წინ (დაიწყება 25 ივნისს, ლონდონში) ორგანიზატორებმა დაამტკიცეს უძლიერეს ჩოგბურთელთა სია, რომლის თანახმადაც ფავორიტები გათამაშების პირველ ეტაპზე ერთმანეთს არ შეხვდებიან. ეს სია, ამავე დროს, მოცემული მომენტისთვის უძლიერესთა თავისებურ რეიტინგს წარმოადგენს.

**ქალები:** 1. შ. გრაფი (გფრ), 2. მ. ნავრატილოვა (აშშ), 3. მ. სელეში (იუგოსლავია), 4. გ. საბატინი (არგენტინა), 5. ზ. ჰარისონი (აშშ), 6. ა. სანჩესი (ესპანეთი), 7. კ. მალეევა, 8. მ. მალეევა (ორივე — ბულგარეთი), 9. მ. ფერნანდესი (აშშ), 10. ჰ. სუკოვა (ჩეხოსლოვაკია), 11. ნ. ზვერევა (სსრკ), 12. ჯ. კაპრიატი (აშშ), 13. ი. ნოვოტნა (ჩეხოსლოვაკია), 14. ი. ვეისნერი (ავსტრია), 15. რ. ფეიერბენკი (სამხ. აფრ. რესპ), 16. ბ. პაულიუსი (ავსტრია).

**ვაჟები:** 1. ი. ლენდლი (ჩეხოსლოვაკია), 2. ბ. ბეკერი (გფრ), 3. ს. ედბერგი (შვეცია), 4. ჯ. მაკინროუ (აშშ), 5. ა. გომეში (ეკვადორი), 6. ტ. მაისტერი, 7. ბ. ჯილბერტი, 8. ა. კრიკშტეინი, 9. ჯ. კურიე (ყველა — აშშ), 10. ი. სვენსონი (შვეცია), 11. გ. ფორჟე (საფრანგეთი), 12. პ. სამპარსი, 13. მ. ჩანგი (ორივე — აშშ), 14. პ. კორდა (ჩეხოსლოვაკია), 15. ა. ლეკონტი, 16. ი. ნოა (ორივე — საფრანგეთი).



### საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი რაგბიში

### ● უმაღლესი ლიგა

**„ელმავალი“ (თბილისი) — „კრასნი იარი“ (კრასნოიარსკი) 9:4 (6:0).**

**კრასნოიარსკელ** მორაგბეთა სატურნირო ცხრილის სათავეში მოქცევა შემთხვევითი არ გახლავთ — გუნდი აშკარად ალმავლობის გზაზეა. იგი, ტრადიციულად, ძნელ მეტოქედ ითვლება თბილისელთათვის და ამ ორი გუნდის შეხვედრა მუდამ დიდ ინტერესს იწვევს.

ამჯერადაც, პირველივე წუთებიდან უშეღავათო ბრძოლა გაიმართა. ციმბირელები, ჩვეულებისამებრ, სწრაფად და აგრესიულად მოქმედებდნენ, მასპინძლებს ბურთის ხელით გათამაშების საშუალებას არ აძლევდნენ. „ელმავალმა“ დროულად შეცვალა ტაქტიკა, თამაში „შეკრა“, მოიკინალები აამოქმედა და გარკვეულ უპირატესობასაც მიაღწია.

პირველ ტაიმში ჩავლეიშვილმა სწორედ შერკინების ხაზის აქტიურობის წყალობით ორი საჯარიმო გაიტანა — 6:0.

მეორე ნახევრის დაწყებისთანავე კრასნოიარსკელებმა „მარაო“ გაათამაშეს და ზაკარლიუკმა ლელო გაიტანა. ამან გაათამამა სტუმრები — მათი უკანა ხაზი შეეცადა კოლექტიური თამაშით მიეღწია წარმატებისთვის, მაგრამ თბილისელმა „კოლეგებმა“ მათ ამის საშუალება არ მისცეს.

გუნდებს კიდევ თითოჯერ მიეცათ ანგარიშის შეცვლის შესაძლებლობა. ჯერ თბილისელებმა ვერ გამოიყენეს ორი ხუთმეტრიანი საჯარიმო, ორიოდე წუთის შემდეგ კი ვერც სტუმრებმა იყოჩაღეს ანალოგიურ სიტუაციაში.

თამაშის ბოლოს ჩავლეიშვილმა საჯარიმოს გატანით კიდევ სამი ქულა შესძინა „ელმავალს“, რომელმაც ასეთი შემადგენლობით ითამაშა: საცერაძე, მარჯანიშვილი, ჰეიშვილი, თავაძე, ვაშაძე, ჩავლეიშვილი, ქერაული, ბაკურაძე, ჯაფარაშვილი, კ. გიუნაშვილი, ნარიმანიძე, ხუადე, რაფავა, გ. გიუნაშვილი, ღუდუშაური.

I ლიგა. თბილისის „მიმინო“ ყაზანში შეხვდა ადგილობრივ „სტრელას“ და დაამარცხა მეტოქე ანგარიშით 25:7.

**მერაბ რატიშვილი**

## ო. ბლოხინი მწვრთნელად მუშაობს

**ცნობილ** კიეველ ფეხბურთელს ო. ბლოხინს ბოლო წლებში საკმაოდ ძნელი ეპოპეა გარდახდა. კიევის „დინამოში“ თავისი სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგ იგი სათამაშოდ ავსტრიაში გაემართა, შემდეგ კუნძულ კიპროსზე ამოჰყო თავი და ახლა, როგორც საკდესის ცნობაშია აღნიშნული, ფეხბურთის თამაშს თავი დაანება და საბერძნეთის საკმაოდ ცნობილი კლუბის „ოლიმპიაკოსის“ (პირეოსი) მწვრთნელად დაინიშნა. როგორც ამ კლუბის ხელმძღვანელობა და უცხოეთის სააგენტოები იუწყებიან, ო. ბლოხინმა პირეოსის კლუბთან ორწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.

მწვრთნელის საქმიანობა დებიუტია 37 წლის ო. ბლოხინისთვის. ამ პოსტზე მან უნგრელი სპეციალისტი იმრე კომორი შეცვალა, ბოლო ხანებამდე კი კიპროსის „არისში“ გამოდიოდა.

— კარგად ვიცი, რა სარისკო საქმესაც მოვკიდე ხელი, როცა მწვრთნელის პროფესია ავირჩიე. — თქვა „ოლიმპიაკოსის“ პრეზიდენტთან არგიროს სალიარელისთან საუბარში ო. ბლოხინმა, — მაგრამ ვიმედოვნებ, რომ წარმატებებს მივაღწევ.

| „სპორტპროგნოზი“, 26-ე ტირაჟის პროგრამა (29 ივნისი — 2 ივლისი) | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი რაგბიში (უმაღლესი ლიგა)** | | | | |
| 1. „სლავა“ (მოსკოვი) — „ელმავალი“ (თბილისი) | 29.VI | 50 | 40 | 10 |
| 2. „პოლიტექნიკი“ (კიევი) — სსა (მონინო) | 30.VI | 40 | 30 | 30 |
| 3. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „აია“ (ქუთაისი) | 30.VI | 50 | 30 | 20 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში, ქალები, მეორე სუპერფინალი** | | | | |
| 4. „როსტსელმაში“ (როსტოვი) — „სპარტაკი“ (კიევი) | 30.VI | 20 | 40 | 40 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)** | | | | |
| 5. „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „კაირატი“ (ალმა-ათა) | 2.VII | 20 | 70 | 10 |
| 6. „ტირასი“ (ტირასპოლი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) | 2.VII | 10 | 70 | 20 |
| 7. „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „როსტსელმაში“ (როსტოვი) | 2.VII | 40 | 50 | 10 |
| 8. „დინამო“ (სოხუმი) — „დინამო“ (სტავროპოლი) | 2.VII | 20 | 70 | 10 |
| 9. „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „ლოკომოტივი“ (გორკი) | 2.VII | 60 | 30 | 10 |
| 10. „ნეფტჩი“ (ბაქო) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) | 2.VII | 60 | 30 | 10 |
| 11. „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) | 2.VII | 50 | 40 | 10 |
| 12. „სპარტაკი“ (ვლადიკავკაზი) — „გეოლოგი“ (ტიუმენი) | 2.VII | 50 | 40 | 10 |
| 13. „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) | 2.VII | 30 | 60 | 10 |

## კუნიაკი შიბატა — იაპონელთა ჩემპიონი

**იაპონელ** მოკრივეებს საერთაშორისო ასპარეზზე არ ჰქონიათ მაინცდამაინც დიდი წარმატებები, განსაკუთრებით მძიმეწონოსან მოკრივეთა შორის. აი მსუბუქ წონაში კი ამომავალი მზის ქვეყანამ თავი ისახელა. საქმე ისაა, რომ იაპონელებს ჰყავთ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ქვემსუბუქ და მსუბუქ წონაში — კუნიაკი შიბატა.

ტყავის ხელთათმანის იაპონელმა დიდოსტატმა მსოფლიო ჩემპიონობა ჯერ 1970 წლის 14 დეკემბერს მოიპოვა, როდესაც დაამარცხა ძლიერი მექსიკელი მოკრივე ვისენტე სალდივარი. მექსიკელს პროფესიონალურ რინგზე ჩატარებული ჰქონდა 37 ბრძოლა, რომელთაგან მოიგო 36, აქედან — 26 ნოკაუტით. 21 წლის სალდივარმა დაამარცხა შუგარ რეი რობინსონი და მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.



შიბატა (მარჯვნივ) ერთ-ერთი ბრძოლის დროს.

ამის შემდეგ მან 8-ჯერ დაიცვა ეს ტიტული წარმატებით. დაუმარცხებელი ჩემპიონი, მექსიკელთა კერპი სალდივარი შემტევი, დაუღალავი, გამძლე, ძლიერი დარტყმის მქონე მოკრივე გახლდათ, გამოირჩეოდა ორთაბრძოლის ორიგინალური მანერით. სალდივარს რინგის არაერთი ოსტატი ჰყავდა დამარცხებული მსოფლიო ჩემპიონობისაკენ მიმავალ გზაზე: რაულ რიხასი, ისმაელ ლაგუნა, ჰოვარდ უინსტონი, რამისი და სხვ.

სალდივართან შეხვედრისას შიბატა 23 წლის იყო. მას ჰქონდა ძლიერი დარტყმა, მაგრამ მეტოქის შეტევას „შუშის ყბის“ გამო ძნელად თუ უძლებდა. ამიტომაც იყო, რომ მის მიერ ჩატარებულ პროფესიონალურ მატჩებში წაგებული ექვსი შეხვედრიდან ხუთში ნოკაუტით დამარცხდა.

სალდივართან ბრძოლაში ასრულდა კუნიაკი შიბატას ოცნება — შეხვედრა მეცამეტე რაუნდში შეწყვიტეს და მსოფლიო ჩემპიონის ქამარი იაპონელს გადაეცა.

იაპონელის ნამდვილ გმირობად მიგვაჩნია ისიც, რომ მან მეორედ (ამჯერად მსუბუქ წონაში) მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობა — პირველსავე რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა ძლიერი მეტოქე ბენ ვილაფლორი.

**ედიშერ ბიორბაძე.**

## ინფორმაცია

**ჩელიაბინსკი.** აქ დაიწყო ცნობილი ფრენბურთელის, მსაჯისა და მწვრთნელის ანატოლი ჩინილინის მემორიალი, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის ქალთა ნაკრები გუნდები მონაწილეობენ. პირველ შეხვედრაში ბრაზილიელმა ფრენბურთელებმა საკმაოდ იოლად დაამარცხეს კუბის ახალგაზრდული გუნდი, — 3:0 (15:12, 15:2, 15:7). კალენდარული შეხვედრები ჩელიაბინსკის გარდა სვერდლოვსკშიც ტარდება.

### „სპორტპროგნოზი“

**ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის თამაშებზე შედგენილი სპეციალური ტირაჟის „C-8“ შედეგები**

**(8-18 ივნისი)**

1—2, 2—2, 3—1, 4—1 5—1, 6—1, 7—X, 8—1, 9—2, 10—2, 11—X, 12—X 13—2.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

რედაქტორი

**თ. გაჩეჩილაძე.**

საქართველოს სპორტსახკომი და გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებენ ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს, საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს შოთა ხაბარელს დედის

**მარიამ სიმონის ასულ აბუთიძე-ხაბარელის**

გარდაცვალების გამო.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა თ. მიგრიაული. კორექტორები მ. ძებამიძე და ე. ხომერიკი.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი**
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08 779